ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8166329

ნომერი: AR11167368

თარიღი : 29.10.2026

გაცემის თარიღი : 18.11.2026

გაცნობის თარიღი : 18.11.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ზაქარეიშვილი პ/ნ 01024089284
- თბილისი ო.ჭილაძის ქ. N 166 კორ. 9 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026

წლის 29 ოქტომბერს №AR11167368 განცხადებით მომართა ალექსანდრე ზაქარეიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებით, №01.18.13.037.233 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 21 სექტემბრის №8086948 ბრძანებით, გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაში მშენებლობის ეტაპებთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად არ იქნა დაფიქსირებული 1059.91 კვ.მ. ფართობი. ამასთან, დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობი 258.68 კვ.მ-ის ნაცვლად არის 273.23 კვ.მ.; ასევე იცვლება საერთო ფართობი და ნაცვლად - 21318.97 კვ.მ-ის არის 21333.52კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ შეთანხმებული გეგმების გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ საპროექტო ობიექტისთვის გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომები, საერთო ფართობით 1059.91კვ.მ; ამასთან, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1059.91კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს დამხმარე ფართობად 273.23 კვ.მ., საერთო ფართობად - 21333.52კვ.მ;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებით შეთანხმებული +0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 და 2026 წლის 21 სექტემბრის №8086948 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.